**სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გარაშვილის* შეფასების შედეგი:**

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 23 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 23 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 2 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 87 | 100 |

**გიორგი გზობავა**

**თარიღი :** 04.12.2024 г.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## გიორგი გზობავა

**„4 “ დეკემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **გიორგი გარაშვილის**

**მ ე ფ ა ს ე ბ ა**

**1. შეფასების პროცედურის შესახებ**:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **გიორგი გარაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^2$ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **გიორგი გარაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

## 1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **გიორგი გარაშვილი** გამოირჩევა პრინციპულობით, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, კოლეგიალურობით, თავაზიანობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **გიორგი გარაშვილს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 20 ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

**<u>დასკვნა:</u>** ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **გიორგი გარაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

## 2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

### 2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

**გიორგი გარაშვილი** არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/18.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 15.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სისხლის სამართალში* - გიორგი გარაშვილმა, გამოავლინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული, თანმიმდევრული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. იგი არის განონასწორებული, ორგანიზებული, თავაზიანი, შრომისმოყვარე, გონებაგახსნილი ადამიანი, რომელიც პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ეკიდება დაკისრებულ სამუშაოს. სტაჟირების პროცესში იყო შრომისმოყვარე, მონდომებული საქმისადმი კეთილსინდისიერი. მისი უნარები პასუხობს მაღალ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება მომავალი სამოსამართლო საქმიანობის ღირსეულად განხორციელებას. *სამოქალაქო სამართალში* - გიორგი გარაშვილი, არის

განწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა. არის ძალიან ტაქტიანი და არასოდეს გაცდენია ეთიკის ნორმებს. იგი არის ორგანიზებული და ეფექტურად ანაწილებს დროს, მას შეუძლია სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები და თანმიმდევრულად შეასრულოს დავალებები. აქვს კარგი თეორიული ცოდნა. ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონიურად გადმოცემა, შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება. მის მიერ მიღებული დასკვნა ყოველთვის გასაგებია. *ადმინისტრაციულ სამართალში* - გიორგი გარაშვილი გამოირჩევა ღირსებით, თავაზიანი და პატივისცემით მოპყრობის უნარით. აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა. ძალიან კარგად ფლობს მატერიალურ და პროცესუალურ კანონმდებლობას. მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. ასევე არგუმენტირებული, დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს ზეპირი და წერითი გადმოცემის უნარები."

**გიორგი გარაშვილთან** საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

**<u>დასკვნა:</u>** კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

**<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გიორგი გარაშვილი საკითხის სამართლებრივ შეფასებას და დასაბუთებას გადმოსცემს ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად და აკადემიურად, მხარეთა არგუმენტების მხედველობაში მიღებით. შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის არაერთი სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს ძირითადად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

**<u>დასკვნა:</u>** სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

**<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>**

**გიორგი გარაშვილს** გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - გიორგი გარაშვილს შესწევს უნარი შეაფასოს და წერილობითი ფორმით გასაგებად გადმოსცეს მისი არგუმენტაცია, შესაფასებელ საკითხთან დაკავშირებით. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები იმსახურებდა მოწონებას. ის მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. წერს გასაგებად და გამართულად, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ ცოდნას და ტექნოლოგიურ რესურსებს. საპროცესო დოკუმენტები არ იყო გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს. მეტყველებს გამართულად, გააჩნია ზეპირი გადმოცემის უნარი. ასევე აზრის ნათლად ჩამოყალიბება, ლოგიკური მსჯელობა და საკითხის ანალიზი. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. შეუძლია, არგუმენტირებული მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება.

**<u>დასკვნა:</u>** წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

**<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>**

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, კვალიფიციური, შრომისმოყვარე, შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული, პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ეკიდება დაკისრებულ სამუშაოს.

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

**<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>**

**გიორგი გარაშვილი** არის ღია სიახლეების მიმართ, ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე.

კანდიდატი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

**გიორგი გარაშვილს** ჩაბარებული აქვს მოსამართლის, პროკურატურის მუშაკთა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

**<u>დასკვნა:</u>** აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს 7 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

**<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>**

მოცემული კრიტერიუმებით **გიორგი გარაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ მას გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი და ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. კანდიდატი 2017 წლიდან სწავლობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული ტრენინგში - „დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით საქმეთა განხილვა სასამართლოში."

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გიორგი გარაშვილი** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **გიორგი გარაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 87 (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი